დაუყოვნებლივ გასავრცელებლად

რუსეთი/საქართველო: კასეტური ბომბებით გამოწვეული ზიანი მისი აკრძალვის საჭიროების კიდევ ერთი დადასტურებაა

(ჟენევა, 14 აპრილი, 2009 წ.) 2008 წლის აგვისტოში მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს რუსეთისა და საქართველოს მიერ კასეტური იარაღის გამოყენების შედეგად ადამიანების დაღუპვა და მოსახლეობის სარჩო-საბადებლის განადგურება ამ იარაღის აკრძალვის თაობაზე ახალი კონვენციის მიღებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, – აღნიშნავს "Human Rights Watch"-ი დღეს გამოცემულ თავის ანგარიშში. სრული აკრძალვის მოწინააღმდეგე სახელმწიფოების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლები მიმდინარე კვირაში ჟენევაში იკრიბებიან, რათა კიდევ ერთხელ სცადონ განსხვავებული, გაცილებით სუსტი შეთანხმების შემუშავება.

80 გვერდიანი ანგარიში სახელწოდებით „მომაკვდავი პრაქტიკა: რუსეთისა და საქართველოს მიერ 2008 წლის აგვისტოში კასეტური იარაღის გამოყენება" პირველი ამომწურავი მოხსენებაა სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონის გამო მომხდარი შეიარაღებული კონფლიქტის დროს რუსეთისა და საქართველოს მიერ კასეტური იარაღის გამოყენების შესახებ. "Human Rights Watch"-ის მიერ 2008 წლის აგვისტოში, სექტემბერსა და ოქტომბერში ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ კასეტურ ბომბებს ათეულობით მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეეწირა ომის დროს და ეწირება დღესაც, საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ. აუფეთქებელი ჭურვები მშვიდობიანი მოსახლეებისთვის დღესაც საფრთხეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ნივთიერი მტკიცებულება ცხადყოფს რუსეთის მიერ ამ იარაღის გამოყენებას, რუსული მხარე მაინც უარყოფს ამ ფაქტს.

„კასეტური იარაღი ყოველთვის კლავს და ასახიჩრებს მშვიდობიან მოსახლეობას, საბრძოლო მოქმედებების დროს და მას შემდეგაც. ერთადერთი რეალური გამოსავალი ამ იარაღის სრული აკრძალვაა. კასეტური იარაღის ეგრეთ წოდებული 'პასუხისმგებლობით გამოყენება' მითია და სხვა არაფერი. სახელმწიფოებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ აკრძალვის შესუსტების ნებისმიერ მცდელობას", – აღნიშნა "Human Rights Watch"-ის მკვლევარმა და ანგარიშის ავტორმა, ბონი დოქერტიმ.

კასეტური შეიარაღების შესახებ ახალი კონვენცია, რომელიც ხელმოსაწერად 2008 წლის დეკემბერში გაიხსნა, კატეგორიულად კრძალავს ამ იარაღის გამოყენებას. ამას გარდა, კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, განნაღმონ კასეტური იარაღის აუფეთქებელი ნაწილაკებით დაბინძურებული ტერიტორიები და დახმარება გაუწიონ დაზარალებულ პირებსა და ადგილობრივ მოსახლეობას. დღეისათვის ამ შეთანხმებას 96-მა სახელმწიფომ მოაწერა ხელი, ხოლო ექვსმა მისი რატიფიცირებაც მოახდინა. კონვენცია ძალაში შევა და იურიდიულად სავალდებულო გახდება 30-ე სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირებიდან ექვსი თვის შემდეგ.

ის სახელმწიფოები, რომლებმაც უარი თქვეს კონვენციის ხელმოწერაზე, ჟენევაში დღეს გახსნილ ოთხდღიან კონფერენციაზე შეეცდებიან, მიაღწიონ კონსენსუსი ალტერნატიული სამართლებრივი ინსტრუმენტის შესახებ, რომელიც მხოლოდ დაარეგულირებს კასეტური ბომბების გამოყენებას, მაგრამ არ დააწესებს მათ აკრძალვას. ეს სახელწიფოები მხარს უჭერენ იარაღის ჩვეულებრივი სახეობების შესახებ კონვენციის ოქმის პროექტს, რომლის მიხედვით მომავალში ნებადართული იქნება საქართველოში კონფლიქტის ორივე მხარის მიერ გამოყენებულის მსგავსი კასეტური იარაღის გამოყენება.

2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონის გამო მომხდარი კონფლიქტის დროს რუსეთისა და საქართველოს მიერ კასეტური იარაღის გამოყენებამ კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახა ჰუმანიტაული პრობლემები, რომლებიც თან სდევს ამ იარაღის ნებისმიერ გამოყენებას. "Human Rights Watch"-მა მოიპოვა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს დასახლებულ ადგილებში ორივე მხარის მიერ კასეტური იარაღის გამოყენების ფაქტს. კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ადმინისტაციული საზღვრის

სამხრეთით, ამ იარაღით, სულ მცირე, 16 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და 54 დაიჭრა. აუფეთქებელი ჭურვები მიმოფანტულია მოსახლეობის ბაღ-ბოსტნებსა და ნათესებში, რაც აფერხებს მოსავლის აღებას.

„რუსეთ-საქართველოს ომი უნდა გახდეს უკანასკნელი, რომლის დროსაც კასეტური ბომბების გამოყენებით დაიღუპა და დასახიჩრდა მშვიდობიანი მოსახლეობა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა სახელმწიფოების მიერ კასეტური იარაღის შესახებ კონვენციის სასწრაფოდ რატიფიცირება," - განაცხადა დოქერტიმ.

კონფლიქტის დაწყებამდე 107 სახელმწიფოს ჰქონდა კონვენციის საბოლოო ტექსტი მიღებული, მაგრამ რუსეთმა და საქართველომ უგულებელყვეს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო არენაზე კასეტური იარაღის აკრძალვის შესახებ კონსენსუსი ყალიბდებოდა. "Human Rights Watch"-მა მოუწოდა სახელმწიფოებს, რაც შეიძლება ჩქარა მიუერთდნენ კონვენციას და მოახდინონ მისი რატიფიცირება, რათა დაგმობილი იქნეს ამ იარაღის გამოყენება და შეთანხმება იურიდიულად სავალდებულო გახდეს.

კასეტური ბომბი ათეულობით და ასეულობით მცირე ზომის ჭურვად იშლება. მიუხედავად იმისა, საჰაერო თუ საარტილერიო დაბომბვის შედეგად ხდება მისი გამოყენება, ის ორ უმთავრეს ჰუმანიტარულ ზიანს იწვევს. პირველი, მისი მოქმედების ფართო არეალი ფაქტობრივად გარანტირებულად იწვევს მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლს, თუ ის დასახლებულ პუნქტებში გამოიყენება. და მეორე, ბევრი მცირე ზომის ჭურვი არ ფეთქდება იერიშისას, როგორც ეს უნდა მოხდეს, და ამიტომ სამოქალაქო მსხვერპლი მოსალოდნელია საომარი მოქმედებების დასრულებიდან თვეებისა და წლების შემდეგაც.

"Human Rights Watch"-მა დაადგინა, რომ რუსეთმა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები დაარღვია, როცა მან კასეტური ბომბებით არადამიზნებადი და არაპროპორციული იერიში მიიტანა საქართველოს დასახლებულ პუნქტებზე. მაგალითად, სოფელ ვარიანში რუსულმა მხარემ ორ სხვადასხვა დღეს ჩამოაგდო კასეტური ბომბები, რამაც 19 მშვიდობიანი მოსახლე შეიწირა. "Human Rights Watch"-მა შვიდ ქართულ ქალაქსა თუ სოფელში და მათ სიახლოვეს აღმოაჩინა რუსული კასეტური იარაღის ნარჩენები.

საერთაშორისო ორგანიზაციამ ‘‘ნორვეგიელი ხალხის დახმარება’’, რომელიც განნაღმვით სამუშაოებს აწარმოებს, მარტში ინფორმაცია გაავრცელა კიდევ დამატებითი ორი სოფლის შესახებ, სადაც რუსული კასეტური იარაღის ნარჩენები იქნა აღმოჩენილი.

“Human Rights Watch”-მა აგრეთვე დაადგინა, რომ ქართული მხარის მიერ კასეტური იარაღის გამოყენებას მსხვერპლი მოჰყვა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის სამხრეთით ცხრა ქართულ დასახლებულ პუნქტში და მათ სიახლოვეს. საქართველოს ხელისუფლებამ აღიარა მის მიერ ამ იარაღის გამოყენების ფაქტი, მაგრამ განაცხადა, რომ ის რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ნაწილებისა და მათი ტექნიკის განადგურებას ისახავდა მიზნად დაუსახლებელ პუნქტებში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე. კვლევამ აჩვენა, რომ კასეტური ბომბის აუფეთქებელი ჭურვების რაოდენობა უჩვეულოდ მაღალი იყო და რომ მათ მინიმალურ სამიზნემდეც ვერ მიაღწიეს. ეს ფაქტი კი, სავარაუდოდ, იმაზე მეტყველებს, რომ შესაძლოა, ჭურვებმა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამიზნეებამდე ქართული მხარის კასეტური იარაღის მასობრივი გაუმართაობის გამო ვერ მიაღწიეს. მაგრამ იმისდა მიუხედავად, გამართული იყო თუ არა საბრძოლო იარაღი, მისი გამოყენება გვიჩვენებს, რომ კასეტური იარაღი ყოველთვის ძალზე სახიფათოა.

„ვინც არ უნდა იყოს მომხმარებელი და რა სახის საბრძოლო იარაღსაც არ უნდა იყენებდეს, კასეტური იარაღი ყოვლად დაუშვებელ საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას და საჭიროა მისი აღმოფხვრა‘‘, — აღნიშნა დოქერტიმ.

თავის ანგარიშში “Human Rights Watch”-ი მოუწოდებს რუსეთსა და საქართველოს, ჩაატარონ დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება კასეტური იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით და გამოაქვეყნონ შედეგები. ორივე მხარემ პასუხისგებაში უნდა მისცეს ნებისმიერი პირი, რომელიც იყენებდა ამ იარაღს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევით. განნაღმვის პროცესის დასაჩქარებლად ორივე სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს გამნაღმველებს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის იარაღი იქნა გამოყენებული, სად და რამდენი.

“Human Rights Watch”-ი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელმაც 2008 წლის 15 აგვისტოს განაცხადა საქართველოს ტერიტორიაზე კასეტური იარაღის გამოყენების შესახებ. ახალი ანგარიში ეყრდნობა პირველი კვლევის შემდეგ ჩატარებულ რამდენიმე მისიის შედეგებს, 100-ზე მეტ ინტერვიუს თვითმხილველებთან, გამნაღმველებთან და მთავრობის წარმომადგენლებთან და, აგრეთვე, ნივთიერ მტკიცებულებათა ანალიზს.

„მომაკვდავი პრაქტიკა“ ბოლო ანგარიშია “Human Rights Watch”-ის მიერ კასეტური იარაღის გამოყენების შესახებ მომზადებული ანგარიშების სერიიდან. ორგანიზაციას გამოქვეყნებული აქვს, აგრეთვე, ანგარიშები კოსოვოში 1999 წელს, ავღანეთში 2001-2002 წლებში, ერაყში 2003 წელს და ლიბანსა და ისრაელში 2006 წელს ამ იარაღის გამოყენების შესახებ.

“Human Rights Watch”-ის ანგარიში „მომაკვდავი პრაქტიკა: რუსეთისა და საქართველოს მიერ კასეტური იარაღის გამოყენება 2008 წლის აგვისტოში“ იხილეთ ვებგვერდზე:
http://www.hrw.org/node/82158

რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ვიდეო და ფოტომასალისთვის (კასეტური იარაღი, დანგრეული სახლები, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა და მსხვერპლი, “Human Rights Watch”-ის თანამშრომლები საველე მუშაობისას) შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ნიუ-იორკში - ელა მორანს: +1-212-216-1828; ან morane@hrw.org

დამატებით მასალებს კასეტური იარაღის საკითხებზე “Human Rights Watch”-ის მუშაობის შესახებ შეგიძლიათ გაეცნოთ ვებგვედზე:
http://www.hrw.org/en/category/topic/arms/cluster-munitions

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ჟენევაში - ბონი დოქერტის (ინგლისურ ენაზე): +1-617-669-1636 (მობილური ტელეფონი)
ჟენევაში - მარკ ჰიზნის (ინგლისურ ენაზე): +1-202-352-8983 (მობილური ტელეფონი)

ნიუ-იორკში - მარკ გარლასკოს (ინგლისურ ენაზე): +1-914-450-4251 (მობილური ტელეფონი)

ვაშინგტონში - სტივ გუსს (ინგლისურ ენაზე): +1-202-612-4355; +1-540-630-3011 (მობილური ტელეფონი)

თბილისში - გიორგი გოგიას (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე): +995-77-42-12-35 (მობილური ტელეფონი)

მოსკოვში - ელისონ გილს (რუსულ, ინგლისურ ენებზე): +7-916-238-512735 (მობილური ტელეფონი)